

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“  
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

27.03.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“  
თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: იოსებ ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის  
პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს  
დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ლელა ჩახვაძე/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის  
მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის  
დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ  
იოსებ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის  
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და  
„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად შედგენილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის საბოლოო კორექტირებულ ნუსხასა და სოფლის კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში მითითებულ მოთხოვნებს შორის არის შეუსაბამობა. კერძოდ: ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის მოთხოვნა იყო ე.წ „მშენებარე ეკლესიის უბანში“ არსებული სანიაღვრე არხის ამოწმენდა, მასის გატანა და არსებული გზის ნაწილობრივ მოხრეშვა წარმოდგენილ ნუსხაში კი გარე განათების მოწყობა არის მითითებული. მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება არ მოხდა. სოფ. გაგურში სასმელი წყლის რეაბილიტაცია იგეგმება, მაშინ როდესაც არსებული წყლის სტანდარტამდე დაყვანა არ ხდება, არ გადის შესაბამის გაფილტვრას, ამიტომ უნდა ჩაიწეროს „ტექნიკური წყლის რეაბილიტაცია“.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ნინოშვილის მოსახლეობა პრიორიტეტად მიიჩნევს კულტურის სახლში განათების მოწყობას.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.**

**სხვადასხვა**

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 45 მუხლის 1-ლი პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში უპასუხოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეკითხვას, ხოლო კითხვის ავტორთან შეთანხმების შემთხვევაში ეს ვადა გაზარდოს არაუმეტეს 10 დღით, რაც ირღვევა მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ვინაიდან ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობის“ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში გაგზავნილ წერილების უმრავლესობაზე პასუხები არ მიუღიათ.

**ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ლელა ჩახვაძე



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის"